გიხარიოდეთ! აღსდგა საქართველო!

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 44 (6420) 11 აპრილი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინწინ, 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომამ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. საქართველო შეუდგა უზენაესი თავისუფლებისაკენ მიმავალი გზის გოლო აღმართს. გილოცავთ ამ გედნიერ დღეს, მარადიულ დღესასწაულად ქცეულიყოს!

„ასე ნანატრი თავისუფლება“

9 აპრილს დღის 3 საათზე სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნისადმი და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენისადმი მიძღვნილი მიტინგი. წუხიერი დუმილით დამსწრე საზოგადოებამ პატივი მიაგო მათ ხსოვნას.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა ცაგერის რაიონის პრეფექტმა **ტარიელ ალავიძემ.** მან დამსწრეთ მიულოცა უდიდესი მოვლენა ქართველი ხალხის ცხოვრებაში—საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ: მერაბ ბერუჩაშვილი, დარეჯან ჩორგოლიანი, დათო სანთელაძე, ია ხმელიძე, გიორგი ჯიაძე, სამსონ კოპალიანი, ზაზა ყურაშვილი, ვალოდია მუშკუდიანი.

ყველა მათგანის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ზოლად გასდევდა, ერთი საერთო შტრიხი, რომ ამიერიდან ყველა ქართველი უნდა გაერთიანდეს და ერთ მუშტად შეკრული, ერთსისხლად და ერთხორც დარაჯად დაუდგეს აღდგენილი თავისუფლების დაცვას.

შემდეგ მიტინგზე სიტყვა გადასცეს ნორჩი თაობის წარმომადგენელთ. ალპანის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსები.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს საპროტესტო მიმართვა, რომელშიც დამძეს კრენლის ქმედება სამაჩაბლოში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარის ნაწილების შეყვანა, რომელიც გაეგზავნა სსრკ-ს პრეზიდენტს ნ. გორბაჩოვს და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“.

მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას.

მიტინგის დასასრულს საუბარი გაიმართა სამაჩაბლოდან ლტოლვილი ქართველების დახმარების შესახებ. დარბაზში მყოფმა საზოგადოებამ გამოთქვა აზრი ნებაყოფლობითი შეწირულობები, ფული იქნება ეს თუ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, შეაგროვონ და გაუგზავნონ ლტოლვილ თანამოძმეებს.

მიტინგის დამთავრების შემდეგ რაიონის საზოგადოებამ ყვავილებით შეამკო 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი.

ოდეს კაცსა დაეჭირვოს

ძვირფასო ლეჩხუმელებო!

წლევანდელი 9 აპრილი ცრემლნარევი სიხარულის დღედ გვექცა, გლოვის დღე დღესასწაულად იქცა და ეს 9 აპრილს დანთხეულმა სისხლმა მოგვიტანა. უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს მთავრობამ, ბატონნა ზვიად გამსახურდიამ, აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ამ სიხარულს დიდი ტკივილი ახლავს, ჩვენი სისხლი სისხლთა-განისა და ხორცი ხორცთაგანის კვნესა ისმის სამაჩაბლოდან, უჭირს ამ მიწიდან იძულებით აყრილ და გზაზე დამდგარ ათასობით ლტოლვილს, უსახლკაროდაა დარჩენილი ბევრი ქართველი. განსაკუთრებით ბევრი ლტოლვილია გორში და მის ახლომახლო სოფლებში, მათთვის ბინსოცანკის გორის განყოფილებაში გახსნილია სამაჩაბლოდან ლტოლვილთა დახმარების ფონდი, სადაც შეაქვთ ფულადი დანაზოგები, ნათთვის აგროვებენ სხვადასხვა საოჯახო ნივთებს, სასურსათო პროდუქტებს, ყველაფერს, რაც შეიძლება გასაჭირში ჩავარდნილი მოძმის დასახმარებლად გამოდგეს.

ჩვენ, ლეჩხუმელებს, განსაცდელში ჩავარდნილი ნოძმე ბედისწერად არასდროს მიგვიტოვებია. ჩვენს სულში ეს დასაბაბიდან იყო, არის და იქნება. კეთილი გულით მიძღვნილი, მცირედიც შეიწირებისო—ნათქვამია და აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილებაშიც გახსნილია სამაჩაბლოს ლტოლვილებისათვის დახმარების ფონდი, რომლის ანგარიშის ნომერია—**70025**, ჩვენ გულმოწყალე ხალხი ვართ და ნუ დავიზარებთ დაეხმაროთ სამაჩაბლოს ლტოლვილებს, აღნიშნულ ანგარიშზე შეიძლება თითოეულმა ჩვენგანმა გადავრიცხოთ ერთი ან ორი დღის ხელფასი, შეძლებისდაგვარად გავიღოთ პირადი დანაზოგი, ასევე შეიძლება კოლექტივის ერთობლივი აზრის გათვალისწინებით ამა თუ იმ წარმოებადაწესებულებამ მოგებიდან გაიღოს, ბანკში აღნიშნულ ანგარიშზე გადარიცხოს გაჩენილი თანხა.

ამასთან გამოვიჩინოთ გულისხმიერება, წარმოვიდგინოთ ნათი უმწეო მდგომარეობა და დავეხმაროთ მათ ყველაფრით, რითაც შეგვიძლია, სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, თეთრეულით, საოჯახო ნივთებით თუ სხვა სახის აუცილებელი საგნებით.

„ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს
საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ ზვიად გამსახურდიას

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

უდიდესი სიხარულით აღვიქვით საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

მთელი ლეჩხუმის მოსახლეობა მხარს გიჭერთ და გიცხადებთ თანადგომას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში.

მიღებულია ცაგერის რაიონის მშრომელთა საზეიმო მიტინგზე.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“

ბატონო პრეზიდენტო! თქვენი ქმედებით არღვევთ ყოველგვარ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს და უხეშად ერევით სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის საქმეებში. რითაც მხარს უჭერთ ყოფილ „სამხრეთ ოსეთში“ მოკალათებულ ოს „ექსტრემისტებს“.

მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაიყვანოთ ჯარები სამაჩაბლოს ტერიტორიიდან და გაუქმოთ საერთაშორისო ნორმებით მიღებული გადაწყვეტილებები საქართველოს მიმართ, რაც საშუალებას მისცემს ქართველი ერის მიერ არჩეულ პარლამენტს კონსტიტუციურად გადაწყვიტოს მისი საშინაო საქმეები.

მიღებულია ცაგერის რაიონის მშრომელთა მიტინგზე.

ექიმებმა გადაწყვიტეს

9 აპრილს ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა რაისაავადმყოფოში. ნიტინგი გახსნა რაისაავადმყოფოს მთავარმა ექიმმა **მ. თოთაძემ.**

ნიტინგის მონაწილეებმა დიდი მადლიერება გამოთქვეს საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებისადმი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის.

ნიტინგზე გულისწყრომა გამოთქვეს სამაჩაბლოში დამატებითი ჯარების შეყვანის გამო და დაგმეს ცენტრის მიერ ეთნოკრიზისის ინსპირირება საქართველოს ამ ძირძველ ნიწაზე. მიტინგის მონაწილეებმა შეიმუშავეს მიმართვის ტექსტი სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვისადმი.

ამავე მიტინგზე გამოთქვა სურვილი სურსათ-სანოვაგით დაეხმარონ სამაჩაბლოს ლტოლვილებს და ყველამ, ამ 200 კაციანი კოლექტივის თითოეულმა წევრმა ერთი დღის ხელფასი გადარიცხოს აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილებაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე.

ნიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე ნაილი ფუტკარაძე, ჩევროპათალოგი მირანდა სილაგაძე, ნთავარი ქირურგი ალუდა ზურაბიანი, რომლებმაც ერთსულოვნად დაგმეს ოს ექსტრემისტთა უმოწყალო თარეში სამაჩაბლოში და განსაცდელში ჩავარდნილ ქართველთა დასახმარებლად მოუწოდეს მიტინგის მონაწილეებს.

თუ ერთად ვიქნებით

ინტერვიუ რაიონის პრეფექტთან

გატონ ტარიელ ალავიძესთან

დღევანდელი ძნელბედობის ჟამს რთულზე ურთულესია პრეფექტის ტვირთის ზიდვა. მაგრამ რაკი დაგევალება, რაკი ქართველი ხარ, ვერ განერიდები პასუხისმგებლობას. ნით უფრო, როცა ადამიანები იმედით შემოგცქერიან, ბევრს მოელიან შენგან, შენი კაცობისაგან.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა რაიონის პრეფექტს ბატონ **ტარიელ ალავიძეს** და ესაუბრა ნას—როგორია მისი ფიქრები, სამომავლო პერსპექტივები, როგორ უყურებს რაიონის ხვალინდელ დღეს.

—ბატონო ტარიელ! თქვენ ლეჩხუმელი ბრძანდებით, გიმუშავნიათ კიდეც რაიონში. ასე რომ, ჩვენი საზოგადოებრივობა გარკვეულად გიცნობთ, მაგრამ, ვფიქრობთ, მკითხველთა ერთ ნაწილს დაინტერესებს თქვენი პიროვნება.

რამდენიმე სიტყვით ბიოგრაფიაზე.

—ლეჩხუმში ვარ დაბადებული, სოფელ ზოგიშში 1951 წელს—ასაკს არ ვფარავ. თბილისში დავამთავრე საშუალო სკოლა. იმ წელსვე ჩავერიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დავამთავრე 1975 წელს ეკონომისტის სპეციალობით.

მთელი ეს წლები ეკონომიკურ სამსახურში გავატარე. ვმუშაობდი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში ეკონომისტად, შემდეგ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში. 1986 წელს, როგორც ბევრმა იცის, წამოვედი ცაგერში, გახლდით სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ნაადგილე, საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

შემდეგ ისევ თბილისში დავბრუნდი, ვმუშაობდი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში განყოფილების გამგის მოადგილედ.

მყავს მეუღლე და ორი შვილი. მეუღლე თბილისის საფინანსო სამმართველოს უფროსის მოადგილეა (ისიც ეკონომისტია სპეციალობით); დედა გაერთიანება „ელვას“ ინჟინერია, ნამა თბილისის ზოოვეტერინარული სასწავლო კვლევითი ინსტიტუტის ავტომეურნეობის უფროსი.

ვიყავი სკკპ წევრი. ეს არსად დამიმალავს. 1990 წლის სექტემბერში გავედი პარტიიდან. სამხედრო ბეგარა მოხდილი მაქვს. სხვათაშორის, უფროსი ლეიტენანტობა ცაგერში მომანიჭეს.

ზოგიშში სახლი გვაქვს, ესაა ჩვენი ყველაზე დიდი კომფორტი, დასასვენებელი და უძვირფასესი ადგილი, მთელი ოჯახი აქა ვართ ზაფხულობით, ჭირსა და ლხინში.

—რას ფიქრობდით, როცა დიდი მოვალეობა დაგეკისრათ, პრეფექტად დანიშნეთ და ლეჩხუმს მოემგზავრებოდით?

—რთული სიტუაციაა ლეჩხუმში, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, უამრავი პრობლემაა, მაგრამ მე, ლეჩხუმელი კაცი, ლეჩხუმში დიდი მისიით რომ მოვდიოდი, ეს ძალას, რწმენას მმატებდა, ერთი ნიშანდობლივი დამთხვევა—28 მარტს წავედი ლეჩხუმიდან და 28 მარტს დავბრუნდი.

ჩვენს კუთხესთან შინაგანადაც და სამსახურებრივადაც ყოველთვის სისხლხორცეულად ვიყავი დაკავშირებული. 9 აპრილის ტრაგედია რომ მოხდა, მთელი თბილისი შოკირებული იყო. მახსოვს, აქედან დაბირეკეს მეგობრებმა, ერთ-ერთს ასე ვუთხარი—გადაგვიარეს მეთქი... და ყურმილში სიჩუმე ჩამოვარდა, მეგობარს იქით დავუწყე გამხნევება, მაპატიეთ, 9 აპრილის დღეებია და გადავუხვევ კითხვას, დიახ, საქმით, გულით ყოველთვის აქ ვიყავი, ჩემს ხალხთან. ამიტომ რომ მოვდიოდი, ვფიქრობდი არ გამიჭირდებოდა, ეს იმედი რომ არა, აქ არ ვიჯდებოდი.

ბევრჯერ მიფიქრია და ახლა მით უფრო, რომ როცა კაცს დიდი უფლებები გაქვს, ბოროტად არ უნდა გამოიყენო. მიმტევებელი, დამთმობი ბუნებისა ვარ, მაგრამ გაბრაზებაც ვიცი, მართლა გაბრაზება და არა ოსაჩვენებლად.

პოლიტიკურმა სიტუაციამაც და იმანაც, რომ ურთიერთობები ნქონდა ეროვნულ მოძრაობასთან, განაპირობა, რომ ვმდგარიყავ იმ პოზიციაზე, რომელზედაც ეროვნული პარლამენტი დგას. ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრებმაც სტიმული მომცა.

ერთ-ერთი და მთავარი პრობლემა, როგორც ბატონმა ზვიადმაც ბრძანა და რომელსაც უნდა მივხედოთ, ეს სოფლის მეურნეობაა.

ამიტომ დავთანხმდი. აი, ამ შემართებით ვდგავარ და რა ვიცი, ალბ, მე მგონი გავამართლებ, თუ მხარდაჭერა იქნება.

— რაიონში რთული პოლიტიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური სიტუაციაა, უამრავი პრობლემაა და საფიქრალია, რომელი მიგაჩნიათ პირველი რიგის გადასაჭრელად?

—ძირითადი მაინც სოფლის მეურნეობაა. ჩვენ ისეთნაირი პირობები უნდა შევუქმნათ გლეხს, რომ ლეჩხუმელი კაცი მივიდეს მიწასთან, ამისათვის უნდა დავაზუსტოთ რა პოტენციალი, რეზერვები გაგვაჩნია (ეს დავალება მიცემული აქვს ყველა რგოლის სამსახურს).

ხალხს პირველ რიგში ნატერიალური ანაზღაურება სჭირდებაისეთი, რომ სახელმწიფო ჯიბისკენ არ იხედებოდეს, სოციალურმა გარემომ, ცუდმა ანაზღაურებამ მიიყვანა მშრომელი აქამდე.

არ დამავიწყდება, სტუდენტი ვიყავი. სოფელში ერთი მეზობელი გვყავდა, მშრონელზე მშრომელი კაცი, მაგრამ უკიდურესად გაჭირვებული. ვკითხე კოლმეურნეობიდან რანდენს იღებ მეთქი ანაზღაურებას, და 300 მანეთამდეო მიპასუხა. მე თვეში მეგონა, თურმე მთელი წლისა ყოფილა. ეს ნამდვილად დაცინვა იყო მშრომელი კაცის.

ასე, რომ ჩვენ პირველ რიგში მიწას და ნიწის მუშა-კაცს მივხედავთ.

—ლეჩხუმი სულს ღაფავს დემოგრაფიულად. სტიქიამ კიდევ უფრო დააჩქარა მიგრაცია. ბევრი წავიდა რაიონიდან. როგორ უყურებთ ამ პროცესს, სად ხედავთ ხსნას, რომ ლეჩხუმი—ეს პატარა ეთნოგრაფიული კუთხე არ დაიცალოს?

—ლეჩხუმი მართლაც ღაფავს სულს დემოგრაფიულად. ეს იმ მიზეზით, ზევით რომ ვთქვით, დაბალია ეკონომიკური შემოსავალი. მიგრაცია წარმოშვა აგრეთვე სამრეწველო ქალაქებთან შექმნილმა ხოლებმა. ამ შემთხვევაში მე მხედველობაში მაქვს ქუთაისი, რომელმაც მთელი ლეჩხუმ-სვანეთი და რაჭა ჩაყლაპა, სადაც ყოველგვარი ჩაწერის გარეშე კარს უღებდნენ შრომით რესურსებს. როცა კაცი მოწყდება მიწას, ქალაქს გაუგებს გემოს, მერე ძნელია მობრუნება.

1987 წლის სტიქიის პერიოდში მე აქ ვიყავი, მაშინ ბუმი იყო. ქვედა ცაგერში 20 ჰექტარი ფართობი გამოიყო და ჩავასახლეთ ხალხი. მე მესმის თქვენი, ლეჩხუმელი ლეჩხუმში უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ ამისათვის საჭიროა ჩვენს სოფლებში ცხოვრების ადამიანური პირობების შექმნა, ამაზე ვფიქრობთ, მხოლოდ საჭიროა ცოტა ეკონომიურად მოვღონიერდეთ.

ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ რაღაც ურთიერთობებს გამოვნახავთ წამყვან ასოციაციებთან. უცხოელები რაღაც კაპიტალის ჩადებას გვპირდებიან. საქართველოს თავისი ეკონომიკური პოტენციალით შეუძლია მაღალ დონეზე დადგეს, თუ არავინ ჩაერევა მის ეკონომიკაში, მაშინ ასე მწვავედ აღარ დადგება ეკონომიკური პრობლემები.

ერთსაც დავამატებდი, ჩვენი კუთხე კომპლექტში შეკრულად არ მიმაჩნია. იცით, ალბათ მექვენის მხარე, „კლდედაღმართს“ რომ ვეძახით. ეს ძველი ლეჩხუმია და აქაურებს ლტოლვა ლეჩხუმისაკენ აქვთ. ეს კუთხურობაში არ ჩამომერთმევა, თუ ყველა კუთხე ძლიერი იქნება საქართველოც ძლიერი იქნება. მაგრამ ჩვენ ამ სოფლებს მაშინ შემოვიერთებთ, როცა წყალტუბოზე უკეთეს პირობებს შევუქმნით ადამიანებს.

—მმართველობის ახალი ფორმის—საკრებულოს შესახებ რას გვეტყვით, როგორ წარმოგიდგენიათ მასთან ურთიერთობა?

საკრებულოსთან კავშირი მჭიდრო იქნება. მასში თავი უნდა მოიყარონ ადამიანებმა, რომელთაც აქვთ მაღალი ინტელექტი, ზნეობა და ეროვნული სული. საკრებულო უზენაესი საბჭოს ისეთივე დასაყრდენი და საფუძველია, როგორც პრეფექტი და პრეფექტურა. არაქართულ რაიონებში ამ მხრივ შეიძლება უფრო რთული სიტუაცია იყოს, ჩვენთან კი არა მგონია.

ახლა ყოველ წუთზეა დამოკიდებული როგორ მოსავალს მივიღებთ წელს. იჯარული ურთიერთობების დახვეწა-დაკონკრეტება ჩვენი რაიონის სინამდვილისათვის კი გვიანდება.

როგორია ეროვნული პარლამენტისა და პირადად თქვენი პოზიცია მთიან რეგიონებში და ამ შემთხვევაში ლეჩხუმში გლეხური მეურნეობების დაშვების თვალსაზრისით?

—სოფლის მეურნეობის მშრომელებს შევხვდით. ველოდებით ადგილებიდან წამოსულ აზრებსა და წინადადებებს. ჩვენ გვინდა ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი გამოვნახოთ. პოლიტიკური სიტუაციაც რომ არ შევაფასო ამ კითხვასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ ვთქვა, როგორი „სიყვარულით“ გვიყურებენ არაქართველები. ამიტომ გვიანდება კანონი მიწის შესახებ.

ამ ეტაპზე ჩვენ უნდა დავტოვოთ კოლმეურნეობები, მხოლოდ არა ისეთი პომპეზური შტატებით. ანგარიშსწორება მოხდება საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე ნატურით. მთიან რაიონებში პარლამენტი ბევრ დათმობაზე მიდის, მაგრამ დღეს, როცა საქართველოს ასე უჭირს, არ მეგულება ქართველი, რომელიც მხარში არ დაუდგება ეროვნულ მთავრობას.

ასეთი პოზიცია გვაქვს.

—ადამიანები შეშფოთებული არიან ფასების ისეთი ზრდით, რომელსაც ნამდვილად არ მოელოდნენ. რა გამართლებას აძლევთ ამ პროცესს და რა იმედს მისცემდით მკითხველებს?

—როცა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ვაპირებთ, ფასების ძველებური დატოვება აღარ შეიძლება, როდესაც ჯერ კიდევ, სანწუხაროდ, ერთიანი საბანკო სისტემაა კავშირში, მისი უგულებელყოფა არ შეგვეძლო.

ადამიანები გაღიზიანებული არიან იმის გამო, რომ ბევრ პროდუქციაზე საკავშიროზე მაღალი ფასები დაწესდა. ასე მაგალითად, ნორცის ფასი ჩვენთან 12 მანეთი, კავშირში—9. უნდა ვიცოდეთ, რომ ცენტრი გვაძლევს ფულს, ჩვენ კი ამ ფულს ... ეს ჩვენ არ გვინდა, ამიტომ რაკი ბიუჯეტში დეფიციტი გვაქვს, იძულებული ვართ ის ფასი დავადოთ პროდუქციას, რაც რეალურად ჯდება. მაგრამ ეს დროებითია.

ხალხში დიდი მითქმა-მოთქმაა, მაგრამ ეროვნული პარლამენტი ცდილობს ყველა გზა გამონახოს რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად. ისევ დაგვრჩენია სოციალური გარანტიებითა და კომპენსაციებით დავუდგეთ მხარში ხალხს.

—იქნება კი ეს ძვირადღირებული საქონელი მაინც?

—ამაზე მუშაობს პარლამენტი. ცენტრი ცდილობს გააძლიეროს ბლოკადა, მაგრამ მინიმუმები იქნება, თუმც გაჭირვებაც მოსალოდნელია.

ქალაქში მცხოვრები კაცის პოზიცია წარმოგიდგენიათ. ჩვენ კი რაღაც ისეთი ფორმა უნდა გამოვნახოთ, რომ იქით წავაშველოთ ხელი რესპუბლიკას. ლეჩხუმში სტრატეგიული ღვინო და ხილია. აი, აქ გვჭირდება კომერციული აზროვნება.

—რაიონში არსებულ ოპერატიულ ვითარებაზეც, თუ შეიძლება რამდენიმე სიტყვით.

—ამდენი დანაშაულობები რაიონს არ ახასიათებს. ჩვენ გვქონდა კონკრეტული და საქმიანი საუბარი მილიციის შემადგენლობასთან, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ახალ უფროსთან კუჭავასთან, რაიონის პროკურორთან სილაგაძესთან და მოგვცეს პირობა, რომ რაიონში სიმშვიდე და წესრიგი დამყარდება.

* * *

დღეს საქართველოს უჭირს, არ ყოფნის 9 აპრილს დაღვრილი სისხლი ჩვენს მოძულეს, სამაჩაბლოში ვითარება დაძაბულია. ეს ყველაფერი ინსპირირებულია ცენტრიდან. მაგრამ იმედს არ ვკარგავ, ჩვენი საქმე მართალია და ჩვენ გავიმარჯვებთ. საქართველო გააღწევს ამ გზას. ამიტომ მინდა ჩემს ხალხს ვუსურვო მხნეობა, ერთად დგომა, გამძლეობა.

ჩემი შემართება მიმართული იქნება იქითკენ, რომ რაც შეიძლება მეტი პრობლემები გადავუწყვიტოთ ადამიანებს, გამოვიყვანოთ ნერვული ფსიქოზიდან.

* * *

ჩვენი შეხვედრიდან დღეები გავიდა. ნოვლენები კი სწრაფად ვითარდება. ჩვენ, ბედნიერები ვართ, ვინც ამ დღეს მოვესწარით—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რომელიც 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიამ, დიახ, ნიშანდობლივად 9 აპრილს, ამ დღეს დაღვრილმა ნოწამებრივმა სისხლმა, უკვდავებაში გარდასული ჩვენი გოგო-ბიჭების სულებმა უწინამძღვრა ქართველ ერს, საქართველოს.

გულითა და სულით ულოცავს რაიონის პრეფექტი ამ განუზომელ სიხარულს ლეჩხუმელებს და სრულიად საქართველოს, უსურვებს გონიერებას, მოთმინებას, შრომას, ურთიერთსიყვარულს, გამტანობას, ნამდვილ, ფაქტობრივ, სრულიად თავისუფლებას.

ნასაც მოუმართოს ღმერთმა ხელი ლეჩხუმისა და საქართველოს სამსახურში.

ქვედა ცაგერის სოფლის საკრებულოს არჩევნების ადგილობრივ საარჩევნო კომისიაში

ქვედა ცაგერის №2 საარჩევნო ოლქში დიდი რაოდენობით ბათილი ბიულეტენების გამოვლინების გამო ადგილობრივმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნულ ოლქში ბათილად ცნო არჩევნები და მიიღო გადაწყვეტილება ხელახალი არჩევნები ჩატარდეს 1991 წლის 14 აპრილს, კვირას.

ქვედა ცაგერის სოფლის საკრებულოს არჩევნების ადგილობრივი საარჩევნო კომისია.

რა გამორჩა პროგრამა „ვრემიას“?

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას კომენტარი

სავსებით ნართალი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ ახლა ნომერი პირველი საკითხი ფასების მომატებაა. იგი ერთნაირად აღელვებს ყველას. ხუმრობა საქმე როდია! ცარიელია მაღაზიის დახლები, ბაზარს, რომ იტყვიან, „ცეცხლი ეკიდება“, საოჯახო ბიუჯეტი კი არც ისე მდიდარია, ზოგჯერ მწირიც კია. და აი, ასეთ ვითარებაში, ყოველ კაპიკს მნიშვნელობა აქვს და შეუძლებელია აუღელვებლად მივიღოთ ფასების სულ პატარა სხვაობაც კი, ხალხი გაღიზიანებულია, გრძნობს ცენტრის „გულწრფელ“ თანადგომას. მისი „დახმარების“ ხელს. ამას ისიც დაემატა, რომ პროგრამა „ვრემიამ“, რომელმაც ამ ბოლო ხანებში თავი გამოიჩინა საქართველოსადმი „ობიექტური“ დამოკიდებულებით და დიდი „სიმპათიებით“, არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და ცეცხლზე ნავთი გადაასხა—აუწყა მილიონობით მაყურებელს, რომ, აი, ნახეთ ხორცის საერთო საკავშირო ფასი 9 მანეთია, საქართველოში კი კილოგრამ ხორცს 12 მანეთი დაადესო. ასევე რძესა და რძის პროდუქტებზეო.

ამ ცნობის კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ბატონ თენგიზ სიგუას:

—დიახ, ერთი კილოგრამი ხორცი ჩვენთან 12 მანეთად გაიყიდება, მაშინ როცა საკავშირო მასშტაბით იგი 9 მანეთი ეღირება. რატომაა ასეთი სხვაობა? რა თქმა უნდა, ძალიან გვჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ, ნათქვამია, თავს ზევით ძალა არ არისო. განა ჩვენ არ გვინდოდა, რომ რესპუბლიკაში პროდუქტები უფრო იაფი ყოფილიყო? საქმე კი ის გახლავთ, რომ შევეცადეთ ტაქტიკური სვლა გაგვეკეთებინა. მოდით, ვიყოთ გულახდილნი. რა ფასიც არ უნდა დავადოთ ხორცს, ის მაღაზიებში მაინც არ არის. ბაზარში კი დღეის მონაცემებით მისმა ფასმა 35 მანეთს მიაღწია. საბაზრო ეკონომიკის კანონებიდან გამომდინარე, ცნობილია, რომ სადაც პროდუქტი ძვირია, იქ ხდება ამ პროდუქტის დინება. ჩვენ ვეცდებით, რომ რადგან ხორცს აქ უფრო ნაღალი ფასი აქვს, ეს პროდუქტი სხვა რესპუბლიკებიდან შემოვიდეს. ამით ბაზარში ხორცის ფასი დაეცემა. სწორედ ეს პოლიტიკაა ჩადებული იმ გადაწყვეტილებაში, რომ ახლა ხორცს 12 მანეთი დავადევით და არა ის განმარტება, „ვრემიამ“ რომ მოგვცა. ხოლო მას შემდეგ, რაც შევისყიდით ხორცს საზღვარგარეთიდან, მოსახლეობას კილოგრამს 7-8 მანეთად მივყიდით. გაფორმებულია ხელშეკრულება ხორცის, კარაქის, მშრალი რძის შემოზიდვაზე გერმანიასთან, კენიასთან.

ასეთივე მდგომარეობაა რძეზეც, მხოლოდ რძის პროდუქტებზე მოსახლეობას მიეცემა სრული კომპენსაცია.

ახლა ჩვენი უმთავრესი პროგრამაა მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საკვები პროდუქტების შემოზიდვაზე, მშრალი რძის შესყიდვაზე, თუმცა მისი მარაგი დღეს გვაქვს. მაგრამ ამან არ უნდა გვანუგეშოს—ცენტრი კარგა ხანია ეკონომიკურად არ გვეხმარება. კურსი უნდა ავიღოთ ახალ ალტერნატიულ ბაზრებზე.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო რესპუბლიკის მოსახლეობას, რომელმაც ესოდენ ჭირთათმენით გადაიტანა ეს ცივი და მშიერი ზამთარი. მოსახლეობა შეგნებულად შეხვდა წლევანდელ ენერგეტიკულ კრიზისსაც. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ყველაფერი იღონა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის თანადგომა და მხარდაჭერა გვიათკეცებს ენერგიას. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ 1991 წლის შემოდგომასა და მომავალ წელს მნიშვნელოვნად შევამსუბუქოთ მდგომარეობა. ახლა მთავარია გაგვიმართლოს სოფლის მეურნეობამ. იყო ხმები, თესვა ჭიანურდება, ხალხი სოფლად არ მუშაობსო. გაიმართა გამსვლელი თათბირები თელავში, ბათუმში, მე თვითონ შევეულმფრენით შემოვიარე რესპუბლიკის რეგიონები. ხალხი მიწას ამუშავებს, ვენახები მოვლილია. მჯერა, წლეულს კარგ მოსავალს მოვიწევთ, რაც იმის საბაბს შეგვიქმნის, რომ გაისად, წლის დამლევისათვის ნამეტ პროდუქციასაც კი შევქმნით.

არ შეიძლება არ მიესალმო რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის ასეთ ოპტიმიზმს. ღმერთი იყოს მისი და მთლიანად ჩვენი შემწე!

დამნაშავეთა გამართლების მცდელობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს იურიდიული საზოგადოებრიობის სახელით რესპუბლიკის გამოჩენილ სამართალმცოდნეთა ჯგუფმა ღია წერილით ნიმართა სსრ კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს. მასში გამოთქმულია დიდი გულისწყრომა და პროტესტი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოსადმი სსრ კავშირის გენერალური პროკურორის საინფორმაციო ბარათის—„სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის იმ თანამდებობის პირებისა და სამხედრო მოსამსახურეების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შედეგების შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში უსანქციო მიტინგის აღკვეთაში“.

გამოძიებამ ერთი ნაბიჯითაც კი არ წაწია წინ ამ ტრაგიკული მოვლენების შესწავლაში, თბილისში მომხდარი ამ დამსჯელი აქციის ორგანიზატორებისა და შემსრულებელთა დანაშაულის გამოსავლენად. ამასთან დაკავშირებით, ბარათი კვალიფიცირდება არა როგორც დოკუმენტი, რომელსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს, არამედ როგორც პარტაპარატის სულისკვეთებთ შექმნილი მორიგი პოლიტიკური სიყალბე, და გათვალისწინებულია საქმეში ჩაუხედავი ადამიანებისა და მოქალაქეობრიობას მოკლებული პროფესიონალებისათვის. ხაზგასმულია, რომ იგი განსჭვალულია მისწრაფებით 9 აპრილის ხოცვა-ყლეტის მორალური და სამართლებრივი პასუხისგება დააკისროს საქართველოს ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს, რომელთა კეთილი მიზნებიც დადასტურებულია რესპუბლიკაში მოვლენების შემდგომი განვითარებით, როდესაც განხორციელდა დიდი ხნის ოცნება ხალხისა, რომლებმაც მრავალპარტიულ არჩევნებში თავიანთი ხმა მისცეს იმ ძალებს, ამ მოძრაობას რომ ნეთაურობენ.

სამწუხაროდ, ნათქვამია შემდეგ წერილში, ყოფილი ადგილობრივი ხელმძღვანელობა და ცენტრი, რომელთაც დანაშაულებრივი აქცია დაულოცეს, ტოტალიტარიზმის მთელმა სისტემამ ვერ ნახა სხვა გადაწყვეტილება, ვიდრე ხალხს გასწორებოდა ბარბაროსული მეთოდებით—ტანკებით, სასანგრე ნიჩბებით, ნომწამვლელი ქიმიური ნივთიერებებით. შეიარაღებული ძალების მოქმედებას რომ აფასებს, პროკურორი ფარისევლურად ასახელებს მხოლოდ ტაქტიკურ შეცდომებს, თითქოს მეთაურებს არ გააჩნდათ შესაბამისი გამოცდილება, ვერ განსაზღვრეს შესაძლო ექსტრემალური, კრიზისული სიტუაციები. პროკურატურა სამხედროების ნოქმედებას მიაწერს მხოლოდ გაუფრთხილებლობას, იგი მათში არ ხედავს კონკრეტულ დამნაშავეებს შვიდობიანი მიტინგის მონაწილე ადამიანების ნკვლელობაში, თავიდან აცილებს სამართლიან სასჯელს ყველა რანგის დამნაშავეებს. ცინიზმი აღწევს უკიდურესობამდე, როდესაც გენერალ-პოლკოვნიკს, ამ დამსჯელი აქციის ხელმძღვანელს არა მარტო არ აკისრებენ პასუხისგებლობას, არამედ გამოიების პერიოდში იგი თანამდებობის მხრივ დააწინაურეს კიდეც.

როგორც ბარათშია აღნიშნული, პროკურატურის ნიჟრ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა კომისიის ჭეშმარიტი მასალების უპრინციპო იგნორირების შედეგად დაფარულია კვალი, ცინიკურად გამარჯლებულია დანაშავეები. ბაქო, ვილნიუსი—თბილისი მოვლენების სისხლიანი გაგრძელებაა. ლიტვას მოჰყვა ლატვია. წინ არის აბობოქრებული, აღშფოთებული ნოსკოვი... რას იზამენ, კვლავ ატეხენ სროლას? წერილის ავტორები იმედს გამოთქვამენ, რომ გენერალური პროკურორის როგორც ქართველი ხალხის, ისე ცივილიზებულ სამყაროს შეურაცმყოფელი ბარათი სათანადო შეფასებას პოვებს და დამნაშავენი დაისჯებიან.

საღდგომო წირვა

სახარებაში ვკითხულობთ, რომ მას შემდეგ, რაც სასტიკად, გვემულმა და შეურაცხყოფილმა იესო ქრისტემ მიუტევა უსამართლო განაჩენი ადამიანებს და აღესრულა ჯვარზე, ბნელმა ნოიცვა მთელი ქვეყანა. დიდ მწუხარებას მიეცნენ უფლის მოწაფეები და ნისი ყოვლადწმინდა დედა, დადგა დიდი და კურთხეული შაბათი. იესო ქრისტეს ღვთიური სული ქვესკნელში ჩადის, რათა ჯოჯოხეთის ბინადართაც ახაროს მშვიდობა, მიანიჭოს თავისუფლება ტყვედყოფილთ, მზის სინათლე ახილვინოს ბრმებს...

დიდ შაბათს, ღამით ბლომად მოეყარა ხალხს თავი ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, რომელიც გულს ახარებდა ახლადაღდგენილი საკურთხევლითა და კარებით, მოპირკეთებული იატაკით, ირგვლივ სანთლების ტყე იყო, უდიდესი სითბო, მოწიწება და პატივი ბატონობდა ტაძარში. სააღდგომო წირვა ზუსტად ღამის 12 საათზე დაიწყო, ლოცვა აღავლინა ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვარმა მამა უჩამ, სულში ჩაწვდომად გალობდნენ მგალობლები, უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს წმინდა ხატის გამობრძანებისას ახმიანდნენ ტაძრის ზარები.

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!

წლევანდელი აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი კიდევ უფრო ძლიერი და ორმაგად სადღესასწაულოა, რადგანაც იგი დაემთხვა ერთ-ერთ უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს, რომელიც წარმოადგენს ათ-თორმეტთაგან უძრავს და აღსრულდება ყოველთვის 7 აპრილს—ხარება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა.

სააღდგომო წირვან დილის 5 საათამდე გასტანა, კიდევ ერთხელ შემოჰკრეს ზარებს, კიდევ ერთხელ დაუარა ჟრუანტელმა ქართულ სისხლს, კიდევ ერთხელ შეახსენა წმინდა ბასილი დიდის სიტყვები: ბოროტებას ბოროტებით ვერ განკურნავ, მას მხოლოდ სიყვარულითა და სიკეთით შეიძლება უწამლო.

აღსარებათქმულნი ეზიარნენ, ეზიარნენ უფლისა ჩვენის სისხლსა და ხორცს, რითაც უდიდესი მადლი გადმოვიდა მათ ზედა, წინამძღვარმა კიდევ ერთხელ დალოცა მრევლი, სრულიად საქართველო, კიდევ ერთხელ მიულოცა მას წმინდა აღდგომა უფლისა ჩვენისა და ტაძარში მყოფნი სააღდგომო ეპისტოლეებით დაასაჩუქრა.

...ეს იყო მართლაც უდიდესი და ულამაზესი დღესასწაული, რომელსაც კიდევ ერთხელ შეავედრა მრევლმა საქართველო, კიდევ ერთხელ აუნთო ღვთისმშობლის წილხვედრს წმინდა სანთელი და მშვიდობა, სიყვარული და კაცთაშორის სათნოება **უსურვა.**

ჩემო საყვარელო ხალხო, უფლის იმედით და სიყვარულით აღესილი გულითადად გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს, მარად გახსოვდეთ, ერთადერთი იმედი, მხსნელი ჩვენი არის მხოლოდ უფალი, მისი მადლი და მფარველობა ნუ მოგკლებოდეთ.

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად!!!

მარიკა მეგრელი,

ცაგერის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე.

მთვარისა ბენდელიანის ღრმა, ფიქრიან, მშვენიერ ლექსებს კარგად იცნობენ „ლეჩხუმის“ მკითხველები. გუშინ მთვარისას დაბადების დღე ჰქონდა. კლუბი „ცისფერი სარწყული“ ულოცავს და უსურვებს ბედნიერებას, წარმატებებს კოეზიის ვარდ-ეკლიან გზაზე.

გთავაზობთ მის ახალ ლექსებს.

* * *

ხმელი ფოთლები აედევნა ჩუნ ნაბიჯებს,
ფეხქვეშ გაიზმორა გრძელი ზამთარი
და სევდის ცრემლი უმიზეზოდ ჩაეწნა ძარღვებს,
სისხლნა ჩუმად თქვა,—„უკვე დაიწყო!“,

შემცივნებული ტოტების კრთომა
და სამყაროს სხვა სურნელი დაეპატრონა,
„ეს მეოცე შემოდგომაა,
ჩემი მეოცე შემოდგომა,
ჩვენი ფოთლების ჩვეული ფერი,
ჩვენი ქარების დაბრუნება.
დრო ჩქარა, უსაშველოდ ჩქარა ცვლის ირგვლივ
ყველაფერს.
მე სივრცეს ვუმხელ,
რომ ჩვეულებრივ მკვდრების დიდი სასაფლაოა
სულს რომ აწრიალებს,
ჩემს სხეულში რომ ჩაფერფლილა
და სისხლის მღვრიე დინებას ერთვის,
გეჩურჩულები, როგორც სიზმრები და ოცნებები,
სანამ ნტვრიან ყვავილებს დაგვირგებდეს ქარი,
გეჩურჩულები;
შენ შემოდგომის მიხრწნილი ხმები
ნხრებზე გაწვია როგორც წვიმების ცივი სისველე,
გეჩურჩულები;
სანამ მთვარე ჩამოვიდოდეს ჩვენს ტანში, ყვითლად—
სანამ ფოთლებს გაახმობდეს მზეების ტრფობა
ჩუმად ვშრიალებთ შემოძარცვულ ხის ტოტზე
ორნი...

* * *

ადამიანებად ვიბადებით, მაგრამ ადამიანებად
როდი მივდივართ
როცა საკუთარ თავს შევიცნობთ,
ყველაზე მეტად მაშინ გვიძნელდება
ამ ქვეყანაზე ცხოვრება.

მთვარისა ბენდელიანი.

განცხადება

ცაგერის ღვინის ქარხნის დირექცია მოსახლეობის საყურადღებოდ აცხადებს, რომ ქარხნის საფირმო მაღაზია „ოჯალეში" მოსახლეობაზე ყიდის ადგილობრივი წარმოების ღვინოს „გელათი", რომლის სარეალიზაციო ფასია (1 ლიტრის) 2 მანეთი და 70 კაპიკი. აღნიშნულს ემატება 5 პროცენტი, ე. ი. 13,5 კაპიკი. საბოლოო სარეალიზაციო ფასია 2 მანეთი და 84 კაპიკი.

ცაგერის ღვინის ქარხნის დირექცია.

ჯილოცავთ

მანანა ლუდვიკის ასულ ხეცურიანს
გადრი გერონტის ძე ქომეთიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიყვარული, სიკეთე და სიხარული იყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. იხარეთ და იმრავლეთ.

რეზო, გურამ, როინ, გოჩა ქომეთიანები.

მადონა მაისურაძეს
თამაზ მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას, ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი. ბედნიერ ცხოვრებას გისურვებთ თავისუფალ საქართველოში.

ნონა, ნუნუ, ნატო, თეირან, აღთანდილ უგრეხელიძეები, ნანული, ვალერი მუშკუდიანები, დათო, სერგო მამარდაშვილები.

მანანა ლუდვიკის ასულ ხეცურიანს
გადრი გერონტის ძე ქომეთიანს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი ქართული ოჯახი, სიხარული, სიყვარული, სიუხვე დაგებედოთ. მრავალი შვილი გაგეზარდოთ თავისუფალ საქართველოში.

ბეგლარ, მურთაზ ნემსწვერიძეები, ციცინო, სოზარ იმნაძეები.

ნატო ღომიძეს
გიზო მუკგანიანს

გილოცავთ ბედნიერებას, შეგექმნათ ფუძეძლიერი ქართული ოჯახი.

ლაჯანურჰესის კოლექტივი.

ჯილოცავთ

ლეიდა ჯუმბერის ასულ მეშველიანს
გია ნოდარის ძე ფუტკარაძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გამრავლება და სიხარული ნუ მოჰკლებოდეს თქვენს ქართულ კერას.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები.

ნანული, ნოდარ ფრუიძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

ნასპერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

ნინო ნოდარის ასულ თაგვაძეს
გენადი გიგლას ძე ვაჩაძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. ღმერთის კურთხევით გაზრდილიყოს.

ნასპერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

ნელი და ვახტანგ სვანიძეებს

გილოცავთ შვილის ბედნიერებას. ულევი სიხარული იყოს მისი ცხოვრების თანამგზავრი.

შოთა ჩხეტიანი, ვალიკო გოლეთიანი, ტუკა, კახა ჩხეტიანები ოჯახებით.

გელა იასონის ასულ შკუგულიანს
ღერი არსენის ძე ფირცხალავას

გილოცავთ ნანატრი, პირველი შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერისა და მამულისათვის სასახელო ვაჟკაცი. დაე, არ მოკლებოდეს შვილთა სიმრავლე თქვენს ფუძე-ჭერს. წმინდა გიორგისა და იესო ქრისტეს ღვთიური ძალა ფარავდეს თქვენს ლამაზ ოჯახს.

გოგუცა, ირინე ჩაკვეტაძეები, მურმან, კოტე, ირმა საღინაძეები.

ვარა და ვახტანგ ფრუიძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.

ალპანის საავადმყოფოს თანამშრომლები.

ნინო იორამის ასულ ჩარკვიანს
ზაურ ნიკოს ძე ტვიღდიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. აღზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა. ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

გუგული საღინაძე, ნინო კოპალიანი, ბონდო ჭაბუკიანი, ვახტანგ ახვლედიანი, იუზა მინდაძე, გივი ასათიანი.

ნინო იორამის ასულ ჩარკვიანს
ზაურ ნიკოს ძე ტვიღიდიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

აგრომრეწვბანკის განყოფილების თანამშრომლები.

ნათელა ცხვედიანს
ჯიბილო ლეშკაშელს

გილოცავთ შვილისა და დისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო მამულიშვილი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ლაცორიის საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეები.

დალი იაკოგის ასულ სვანიძეს
ჯონი გიგას ძე ნემსწვერიძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

ღვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

შვილები გივი, ლეილა, ლუარა, ომარი, დები პასიკო, ნივრა, რძლები ნაზი ფრუიძე, ნანი მეშველიანი, მაია მარგველაშვილი, იზა გურგუჩიანი, სიძეები ჯუმბერ ნემსიწვერიძე, ვაჟა მანდარია, შვილიშვილები ჯემალი, დათო, ემზარი, ნანა, ნუგზარი, მერაბი, ზურაბი, ნინო, ნათია, ლევანი, ზურიკო, შვილთაშვილები გივი, ბექა, ვანო, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლისშვილები, ნულისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქრისტინე ბესარიონის ასული საღინაძე-ბენიძე.

დაკრძალვა 13 აპრილს, შაბათს 5 საათზე, ქ. ცაგერში.

ნოდარ გორგასლიძე ოჯახით იუწყება

ტრისტან გორგასლიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნანი, შვილები თამილა, რადმილა, რუსუდანი, შვილიშვილი ბერიკა, ძმები ჭიჭიკო, გივი, და თამარი, სიდედრი თამარი, ცოლისძმა გივი, ცოლისდა ერეკი, დისშვილები იური, ელეონორა, რძლები თინა გურგუჩიანი, შაცაცო გოგოშვილი, სიძეები ალექსანდრე ჩხეტიანი, ვაჟა ასათიანი, ჯიმშერ ფრუიძე, მამია ყუბანეიშვილი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ტრისტან ვლადიმერის ძე გორგასლიძე.

დაკრძალვა 13 აპრილს, შაბათს, სოფ. უსახელოში.

ლუდვიკი, დადაში, ზაურ, შურა ბენიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქრისტინე ბენიძე

მეუღლე მედიკო, შვილები ბალხაი, მინდია ძმა ოთარი, რძალი თინა, ძმისშვილები ბაბუკა, მირზა, მუსრანი, ბიბუდელსშვილები გიგა, რიტა, ბინამშვილები ბიჭიკო, მურმან ქარსელაძეები, ეთერ ჭარბაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ ბიკენტის ძე ქარსელაძე

დაკრძალვა 13 აპრილს, შაბათს, სოფ. სურმუშში.

ტარიელ გუგავა ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ევგენი გიორგის ძე კერვალიშვილი

დაკრძალვა 11 აპრილს, ხუთშაბათს 15 საათზე, სოფ. ჭრებალოში.

ძმისშვილები ამბროსი, ბეტი მახარობლიძეები, ძმისშვილისშვილები რამაზ მახარობლიძე, გია, თემურ მაჭარაშვილები, რძლები საშა, თინა, სიძე გურამ მაჭარაშვილი, ძმისშვილთაშვილები ზურიკო, ნათია მახარობლიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიდა ექვთიმეს ასული მახარობლიძე.

დაკრძალვა 14 აპრილს, კვირას, სოფ. გაგულეჩში.

დათო კაჭკაჭაშვილი, გია დაშნიანი, მერაბ ხეცურიანი, მურად ხაბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნინო, გიორგი კერვალიშვილებს მამის

ევგენი კერვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

რაიმაავადმყოფო-პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გივი, ომარ, ნაზიკო, ნანი ბენიძეებს დედისა და დედამთილის

ქრისტინე ბენიძის

გარდაცვალების გამო.

ჯემალ, დემურ კოპალიანები, შოთა ლიპარტელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქრისტინე ბენიძე

ცაგერის საშუალო სკოლის III-ა კლასის მოსწავლეები და ხელმძღვანელი ლედი ბურჯალიანი თანაუგრძნობენ გია ბენდელიანს ბაბუის

მეთოდე მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ფაბრიკის მძღოლი

ტრისტან ვლადიმერის ძე გორგასლიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ვალიკო მეშველიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ქრისტინე საღინაძე-ბენიძე.

გურგენ ახვლედიანი, თემურ სილაგაძე, გიორგი ჭაბუკიანი, ჯონი მეგრელი, სულიკო ყურაშვილი, არჩილ სიბაშვილი, ონერ ნემსწვერიძე, ოთარ გურგუჩიანი თანაუგრძნობენ მანანა და იური ჩხეტიანებს ბიძის

ტრისტან გორგასლიძის

გარდაცვალების გამო.

„ლეჩხუმი" გამოდის
* სამშაბათს
* ხუთშაბათს
* შაბათს

ჩვენი მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველი ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-33, პასუხისმგებელ მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების — 22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის— 22-17, საამწყობო საამქროს —22-23

შეკვეთა № 41 ტირაჟი 4800

რედაქტორი
ნ ო დ ა რ
ნ ე მ ს ა ძ ე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტი ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა